№ 260 დეკემბერი 11, პარასკევი — 1887 — დეკემბერი 11, პარასკევი № 260

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის სააგენტოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

### ВЪ 1888 ГОДУ

(ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по нынѣшней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ **первое**, вечернее, предназначено для Восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а **второе**, утреннее,—для гор. Тифлиса, Западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10** р., на полгода—**6** р., на три мѣсяца—**3** р. **50** к., на одинъ мѣсяцъ—**1** р. **50** к. За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р. **50** к., на три мѣсяца—**5** р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Объявленія**: на 4-й страницѣ газеты по расчету **5** к. за строку петита или за занимаемое ею мѣсто. На первой страницѣ—**15** к. за такую-же строку.

Подписка и объявленія принимаются: **ВЪ ТИФЛИСѢ**—въ конторѣ изданія, **Головинскій просп., домъ кн. Мухранскаго; ВЪ БАКУ**—въ отдѣленіи конторы, **при** аптекѣ **Чишковскаго**, на углу Барятинской и Милютинской улицъ; **ВЪ КУТАИСѢ**—въ отдѣленіи конторы, **при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издатель кн. **З. Р. Тумановъ.**

(5—2)


ტფილისი, 10 დეკემბერი

ევროპის ჟურნალ-გაზეთობას ტყვია-წამლის სუნი მოედინათ. იქით მიიხედვენ,—მზადებაა, აქეთ მოიხედვენ—მზადებაა და ამ სამზადისების მაყურებელნი ზოგნი ენაწყლიანობით, ზოგნი კაცობრიობის სიყვარულით ამბობენ, რომ დღევანდელი დღე მეტად განსაცდელიანი და გაჭირებული დღეაო და ყოველივე ღმერთმა გვაშოროსო.

ევროპის სახელმწიფოთა გამგებელნი სულ სხვა თვალით უყურებენ ამ ჟურნალ-გაზეთობის მიერ ატეხილს მითქმა-მოთქმას და იმათს ლაპარაკს „ტურის ჩხავილად“ სთვლიან. გერმანიის მომხრენი იძახიან: გულს რაზედ იხეთქენ ეს ჟურნალ-გაზეთები, სად რა არისო? რაკი თ. ბისმარკმა სამთა კავშირი მოახერხა, იტალია, ავსტრია შემოიერთა, აქ რაღა შიში უნდა იყოსო? ეგ სამთა კავშირი თავ-მდებია მშვიდობიანობის დაურღვევლობისაო; თ. ბისმარკს ეგრე სწამს და რაც თ. ბისმარკსა სწამს, ხომ იცით, დღეს ის იქნებაო.

ლონდონში სალუსბერი იძახის, რომ რაზედ გააფუეს მცირეოდენი ჩრდილი, რომელიც საპოლიტიკო ცაზე მოეფინაო; ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო, სწორედ ასე მოსდის ჟურნალ-გაზეთობასაო; საფრთხალი სად არის, რომ ეგრე ფრთხებიანო. იქავ იგივ სალუსბერი უმატებს: მართალია, იმაზედ-კი თვალს ვერ დავხუჭავთო, რომ ზოგიერთი რამ დღევანდელ დღეს საფათერაკო და სახიფათო დღედა ჰხდისო და ყველაფერს ყური უნდა ავუცქვიტოთ და ისე ვადევნოთ თვალიო. მოხერხებული სახელმწიფო კაცი, ეს პოლიტიკაში გაწრთვნილი სალუსბერი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგანზე თითქო ჰოსაც ამბობს და არასაც-პოლიტიკოსს და დიპლომატს სხვა გზით ლაპარაკი არ შეუძლიან, იმიტომ-რომ ისეთი ორ-პირი არა არის-რა ეხლა ქვეყანაზედ, როგორც პოლიტიკა და დიპლომატია.

ვენაში გრაფი კალნოკი მითამ ყურსაც არ იბერტყავს, არაფერს იმჩნევს, თითქო მართლა ძაღლი ჰყეფდეს და ქარვანი-კი თავის გზაზედ მიდიოდეს. გრაფი კალნოკი მორიგების კაციაო, იძახიან გაზეთები, და მინამ ავსტრიის იმპერატორს ამ კაცზედ გული არ აუცრია, იმ დრომდე ნურვინ იფიქრებს, რომ იმპერატორი ავსტრიისა საგანსაცდელო პოლიტიკას აჰყვესო. აი სულ სხვა იქნება, თუ გრაფი კალნოკი დათხოვნილ იქმნა და გრაფი ანდრაში მრჩევლად მოიწვია იმპერატორმაო. ეს სულ სხვა კაცია და მაშინ იქნება გატყვრეს რამეო. განა არა, ამას წინად ხმა გავარდა, რომ კალნოკი როგორღაც ფეხზედ მაგრა ველარა სდგასო და ანდრაშის ღამის კარი გაუღიაო. ამ ბოლოს ხანებში ეს ხმაც მისწყდა და ეხლა იძახიან, რომ გრაფმა კალნოკიმ ფეხი ისევ მოიმაგრა და იმპერატორი ავსტრიისა კიდევ ამის პოლიტიკას ჰკრეფობსო.

იტალია-კი იძახის, მე მხარი მივეცი თ. ბისმარკს იმისათვის-კი არა, რომ თუ ვინიცობაა ვისმე მიესია და თავს დაესხა, ხელი შევუწყოვო, არამედ იმისათვის, რომ თუ ვინიცობაა ან ავსტრიას, ან გერმანიას თავს დაეცემა ვინმე, მაშინ მივეშველეო; მაშასადამე, მე მშვიდობიანობისათვის ჩავერიე ამ საქმეში და არა ჩხუბის ასატეხადაო, იმიტომ-რომ თ. ბისმარკი დღეს იმ დღეშია, რომ მარტო ვერავის ვერას შეჰბედავს-რა უჩემოდ და უავსტრიოდ და ვერც ვერავინ თ. ბისმარკს გაუბედავს, რადგანაც ამ შემთხვევაში მეცა და ავსტრიასაც ანგარიში უნდა გაგვიწიოსო.

დღეს ინგლისი ამ სამთა კავშირს, ცოტა არ იყოს, განზედ უდგება. თ. ბისმარკი ძალიან ჰცდილობს ინგლისის გადმობირებას, მაგრამ ფრთხილი ინგლისი ამას უთვლის თ. ბისმარკსა: გულითა და სულით თქვენთანა ვარ, მაგრამ—უკაცრაოდ—პირობას-კი ვერას მოგცემო. მე იმისთანა ხასიათისა ვარო, რომ დროთა მიმავლობას ვუყურებ და მარტო ჟამთა-ვითარებას ვემორჩილებიო. არ ვიცით, ხვალ რა იქნება და ამ სახვალიოდ მინდა თავისუფალი ვიყო და არა პირობით ხელ შეკრულიო.

ამბობენ, თ. ბისმარკი მადრიდშიაც რაღაცას ჰჩხირ-კედელაობს და ისპანიასაც იწვევს თურმე მეშველად და მომხრედ. ერთი გერმანული გაზეთი ამაზედ იძახის: „კარგი კავშირი მარტო ორთა შუაა შესაძლებელი; რაკი მესამეც ჩამოერევა, სამარჯვო აღარ არის და თუ მეოთხეც გაება—მაშინ ხომ სულაც შეუძლებელიაო“.

რად უნდა, მართლა, თ. ბისმარკს ამდენი მეშველი? თვითონ ამის პასუხად იძახის, რომ რაკი ერთი მხარე მეტის-მეტად ძლიერი იქნება, მაშინ მეორე მხარე მტრობას ველარ გაჰბედავს და მაშასადამე მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ თ. ბისმარკსა. ხოლო თუ უკანასკნელის დეპეშის სიტყვა გამართლდა, რომ ლორდი ჩერჩილი პეტერბურგში მიდისო, არა გვგონია, თ. ბისმარკს ეს ამბავი ძალიან ეჭაშნიკოს.

## ახალი ამბავი

*** ახალ თეატრში, ქართულ წარმოდგენების დროს, როგორც შევიტყეთ, ადგილების ფასი ძლიერ დაკლებული იქნება, ე. ი. ლოჟები (ოთხ და ხუთ ადგილიანი) ეღირება 3, 5 და 7 მანათი. მხოლოდ ლიტერის ლოჟა ეღირება 10 მანათი. გალლერიაში იქნება ადგილები სხვა-და-სხვა ფასისა (სულ ნომრებიანი) ორ შაურიდამ დაწყებული ორ აბაზამდე. სკამები პარტერში უმეტეს ნაწილად იქნება მანათიანი, ხოლო თხუთმეტ შაურიანი—მეშვიდე რიგიდამ დაწყებული უკანასკნელ, მეათე, რიგამდე, სამ მანათიანი სკამი იქნება მხოლოდ ერთი რიგი და ორ მანეთიანი—მხოლოდ ორი რიგი. ტანისამოსის შესანახავად ფული (კაცზე ორი შაური) გამორთმეული იქნება კასსაში, ბილეთის ყიდვაზე.

*** 5 დეკემბერს ვილაცა თ. მისულა ნავთლუღში საყასბოების ზედამხედველთან და ფერშალთან, მიუტანია ბარათი პირუტყვთა ექიმის შ—ის ხელმოწერილი. წერებულა—ძაღლები მოწამლეთ და ამ ბარათის მომტანს მიეცით ნება გატყავებისაო. ზედამხედველს და ფერშალს ეს ბრძანება არ აუსრულებიათ, რადგან უცვნიათ, რომ ბარათი ყალბია. თ...ს უთხოვნია ბარათის დაბრუნება და როდესაც დარწმუნებულა, რომ ესენი მახეში გააბმენ ყალბის ბარათის მიტანისათვის, ამოუღია დანა და მოუწადინებია დაკვრა თავის მოწინააღმდეგეთათვის, მაგრამ ამათ მოუსწრიათ, დანა წაურთმევიათ, დაუჭერიათ და პოლიციაში გაუგზავნიათ.

*** ვისაც ნადირობა უყვარს და მონადირე ძაღლებს ინახავს, ისეცა სწრთენის ამ „მეგობრებს“, რომ სხვას არა აენონ-რა. თუმცა ასე უნდა იყოს, მაგრამ ხევის ქუჩაზე, მთაწმინდაში, ტიხონოვის სახლებში, ვილაცას, ხუთისა თუ ექვსის ძაღლის პატრონს, არ უცვნია საჭიროდ ამ გვარი გაწრთვნა ძაღლებისა. მარტო ჩვენ ვიცით თითქმის ათამდე მაგალითი სხვა-და-სხვათა დაგლეჯისა. ამ თთვის ხუთსაც ძაღლებმა თითქმის მთლად გაატიტვლეს ერთი მოსწავლე ქალი.

*** ნავთლუხის საყასბოებისაკენ აქამდის რიგიანი გზა არ არის გაკეთებული: რაკი ერთი წამოსწვიმავს, ისე ატალახდება, რომ ოთხის ცხენით ველარ ამოაქეთ ხორცის საზიდი „პოვოსკა“, რომელიც მშრალობას ერთის ცხენით მოაქეთ. ქალაქი მოვალეა ცოტადი მაინც გაამჯობესოს ეს გზა და დაიხსნას ყასბები ამდენ წვალებისაგან.

*** დიდ-მოედე ქუჩაზე, აბას-აბათის მეიდნის ქვევით, სახლის № 15 ემორე სართულიდამ და ეზოდამ სარეცხის წყალს, ჰურჭლის ნარეცხს და სხვა უწმინდურობას ღვრიან ქუჩაზედ და სხვაგან რომ მტვერი ასდიოდეს მიწას, აქ უკალოშოდ არ შეიძლება გავლა და ავდარში ხომ კოჭზე მაღლა ტალახი ძევს. საკვირველია, რატომ პოლიციელი, რომელიც მუდამ აქვე დგას, ყურადღებას არ აქცევს ამ ამბავს.

*** ნავთლუხელები შემოგვჩივიან რაღაც ავადმყოფობას, ვითომც საყასბოების უწმინდურობისაგან გაჩენილს და დიდად ემადლიერებიან ექიმს ვაწაძეს, რომელიც მუქთად მკურნალობს თურმე იქაურებს.

*** ფოთიდამ ჩამოვიდა დეპუტაცია, რომელსაც შეადგენენ ფოთის ქალაქის თავი, ნესტორ თავდგირიძე, და ორი ხმოსანი. ესენი ჯერ უნდა წარდგნენ ბ-ნ იანოვსკის წინაშე და სთხოვონ ნება-რთვა რეალურ სასწავლებლის დაარსებაზე ფოთში და შემდეგ უნდა მივიდნენ საქართველოს ეგზარხოს პალლადისთან, რომ მიულოცონ მობრძანება და სთხოვონ სასულიერო სასწავლებლის და საეპარქიო კათედრის გადატანა მარტვილიდამ ფოთში.

*** გორი: მოგეხსენებათ, ყველა ქალაქებში ვაჭარ ხალხს სასტიკად აღეკრძალებათ შუადღემდინ სოფლებიდამ შემოტანილ საქონლის ყიდვა.

აგერ რამდენიმე წელიწადია, სულხანა და ამისი ძმა ალექსანდრე ლამბაროვები შეკრული არიან იჯარით და შეშას აძლევენ ადგილობრივ დაწესებულებებში. ჩავარდება თუ არა ცაში ნათელი, ოთხსავ კუთხივ დაყენებული ჰყავთ ნოქრები და რაც სოფლებიდამ გასაყიდი შეშა მოდის გორში, ხელად ურიგდებიან, მიაქვთ თავიანთ იჯარისთვის და სრულებით აღარ უშვებენ გორში შემოტანას. ამიტომ რაც-კი შემოდის თითო ოროლა ურმები, ისიც მამა-სისხლად იყიდება, მიაქვთ ფულიანებს და ჩვენ-კი, ღარიბი ხალხი, რადგანაც ველარა ვწვდებით ამ ფასსა, ვრჩებით ამ ზამთარ უშეშოდ. ლამბაროვებმა კიდევ სხვა იჯარა შეშისა აიღეს და ყოველ დღე რომ ამათ ესე იმოქმედონ, რილათი უნდა იცხოვროს ღარიბმა ხალხმა, არ ვიცით. საკვირველია, ვისიც ჯერ არს, რას აკეთებენ, რასა სძინავთ ასეთ გაუღვიძარ ძილით, რომ ამისთანა საქმეები ხდება ქალაქში და სრულებით ყურადღებას არ აქცევენ!

საჭიროა თავი გამოიდონ, მოახდინონ ფიცხელი განკარგულება, რომ დანიშნულს ვადამდე არ შეეძლოთ შეშის ყიდვა და უკეთუ დაარღვიეს, საგრძნობლად დასაჯონ, რომ შემდეგში აღარ მოხდეს ასეთი უწესოება.

*** ქუთაისში, არქიელის გორაზედ, წმიდის გიორგის მახლობლად, ერთს ნაქირა-

ვებს სახლში გადმოუწვენიათ მძიმე ავადმყოფი მოხუცებული დედაკაცი, რომლისთვის ცხვირი და პირი სულ ერთიანად მოუჭამია გაუგებარს სენსა. ეს ავადმყოფი ქალი ცოლია მოხუცებულის და ჯანმრთელის ი. კოპაძისა, რომელიც აქა-იქ მათხოვრობს და ამ საშუალებით თავის თავს ძლივს თუ იკვებავს. ავადმყოფს დედაკაცს უვლის თავისი ქალი, ესეც საბრალო და უპატრონო. შემბრალებელ კაცთ ზნეობრივი მოვალეობაა თითო ორ-ორის გროშით გაიკითხონ ეს უმწვერვალესად გაჭირებული ოჯახი.

## იუბილეი გენერალ-ადიუტანტის თავად ლევან ივანეს ძის მელიქოვისა.

კვირას, ქმს დეკემბერს, იდღესასწაულეს ორმოცდა-ათის წლის იუბილეი დიდ-მნიშვნელობიან და დიდად ნაყოფიერის სამსახურისა და მოღვაწეობისა გენერალ-ადიუტანტის, კავალერიის გენერალის, თავ. ლევან ივანეს ძის მელიქოვისა, სახელმწიფო საბჭოს წევრისა.

დღესასწაული ისეთის ამბით გადაიხადეს, როგორიც ეკადრებოდა ღირსეულს და ერთგულს შვილს მამულისას. დილით ადრიანად მოდიოდნენ მისალოცავად მრავალნი კაცნი. თორმეტს საათზე მთავარ-მართებლის სასახლის წინ მწკრივად დადგნენ ტფილისის ამქრები. ხალხი აურებელი იყო. ორს საათზე სასახლეში მოგროვდნენ გენერლები და სხვა სამხედრო წოდების კაცნი. მისალოცავად წარდგნენ გუბერნატორები ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი, ელისავეტოპოლისა, ყარსისა და ერევნისა და სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენელნი; შემდეგ მისალოცავად მობრძანდნენ მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი, პალადი, ეპისკოპოსნი ალექსანდრე, ბესარიონი და სხვა სამღვდელო კაცნი. როცა ორი საათი შესრულდა, გამობრძანდა თვით მთავარ-მართებელი, თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, სხვა-და-სხვა სამხედრო და სამოქალაქო კაცებითურთ. ამის შემდეგ მობრძანდა თვით იუბილიარი, თავადი ლევან ივანეს ძე, და წაბრძანდა სასახლის ეკკლესიაში. წირვა გადაიხადა მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ, ეგზარხოსმა პალადიმ. წირვის შემდეგ იუბილიარი შემობრძანდა დიდს დარბაზში. მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ აკურთხა იუბილიარი იესო ქრისტეს ხატითა და წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვასა და აგრეთვე სხვებისას შემდეგს ნომრებში დავბეჭდავთ.

## სახელდახელო

### ჩვენებური კრიტიკოსები

ჩვენში მწერლებიცა ჩივიან, რომ კრიტიკამ აქამდის ვერ იქნა და ფეხი ვერ აიდგა ქართულ ლიტერატურაში და ვერ დააფასა ვერც ღირსება და ვერც ნაკლულევანება ნაწერებისა. კრიტიკის უქონლობას ჩივის აგრეთვე საზოგადოებაც, რადგანაც უკანასკნელს თვითონ არა აქვს დრო, მოცალეობა და შეძლება, რომ წაკითხული ჯეროვანად ასწონ-დასწონოს და ყოველსავე მიუზომოს თავისი შესაფერი ადგილი. ჩვენს გაზეთში ერთხელ წარმოითქვა უტყუარი საბუთი ამ უქონლობისა. გაზეთი ამბობდა, რომ ქართველებში არ მოიპოვება ნასწავლი კაცი, რომელსაც თავისი ყურადღება მიექცია ქართულ მწერლობისათვის და ჯეროვანად შეესწავლა ჩვენი მწიგნობრობა, რომ შესძლებოდა პირ-უთვნელი და სამართლიანი განაჩენი წარედგინა ქართველ საზოგადოებისათვისო. რატომ არ მოიპოვება ასეთი ნასწავლი კაციო?—კითხულობდა გაზეთი და თვითონვე იძლეოდა ამის პასუხსაც, რომაო ჩვენი ნასწავლები და მოსწავლენი არ არიან შეჩვეულნი თვით-მსჯელობას, თვით-მოქმედებას, რომ იგინი, ამ უძვირფასეს ღირსების მაგიერ, ცდილობენ შეიძინონ თვისებანი თუთიყუშისა — გაიზეპირონ ევროპის ავტორიტეტთა შეხედულებანი და შემდეგ, ადგილზე თუ უადგილოდ, განიმეორონ მათი აზრებიო.

ჩვენში ბევრს არ მოეწონა ასეთი უიმედო დასკვნა გაზეთისა, მაგრამ რასა იქთ, ყოველთვის საამურს სად ილაპარაკებთ, თუ-კი თვით მოვლენანი არ გაძლევენ იმედიანობის საბუთსა და არა თუ იმედიანობისას არას იძლევიან, პირ-იქით, უფრო და უფრო ისეთს საბუთებს აწყდებით, რომ თვით ზემოხსენებული დასკვნა მსუბუქ განაჩენად უნდა იცნოთ და აღიაროთ, რომ ჩვენი ნასწავლები და მოსწავლენი იზეპირებენ ავტორიტეტთა აზრებსა და შეხედულობას-კი არა, არამედ იმათ ფრაზებსა და ამიტომ იმეორებენ მხოლოდ ამ ფრაზებს. ავტორიტეტთა მაღალი შეხედულებანი რომ განიმეორონ ჩვენს საზოგადოებაში, ისიც ჯერ-ჯერობით კაი ღვთის წყალობა იქნებოდა. მაგრამ ძნელი ის არის, რომ აზრების შეთვისებას იშვიათად თუ ვინმე ეწყობა და სამაგიეროდ ჰკმარობენ მახვილ ფრაზებსა, რომელთაც თავის ადგილზე, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და რომელნიც უადგილოთ-კი ყოველ ღირსებას მოკლებულნი რჩებიან და თან სასაცილონიც გამოდიან ულირსის პირში.

ეს სასაცილოც უნდა იყოს. წარმოიდგინეთ თუთიყუში, რომელსაც ჰკვიან პატრონისაგან მრავალჯერ გაუგონია ეს საგულის-ხმიერო ლექსი:

თუ უმეცარმა ავი ქნას,
ამპარტავნული რიგის—
ყრუსავით ყური დაიხშო,
ვითარმცა არ გაგიგია.

წარმოიდგინეთ, რომ თუთიყუშს კიდევაც დაუსწავლია ეს ლექსი და წამ და უწუმ განიმეორებს ადგილზე თუ უადგილოდ. განა სასაცილო არ იქნება ასეთი მოძღვრება თუთიყუშის პირში!..

თუთიყუშივით აღზრდილი კაცი უფრო სასაცილოა, ვიდრე მისი პირველ-ნიმუში, ე. ი. ვიდრე თითონ თუთიყუში, გინდა თვით დიდებულის ლესინგის ფრაზები გადმოგიშალოთ, გინდა ტენისა, ბელინსკისა და სხვათა.

**

რასაკვირველია, ამისთანა ვაჟკაცები ვერაფერს კრიტიკოსობას გაუწევენ ჩვენს მწერლობას. პირველი ესა, რომ ისინი არც შეუსწავლიან რასმე საფუძვლიანად. იმათ დიდი იმედი აქვთ ამოწერილის ფრაზებისა და ამიტომ როდესაც მოიღებენ მოწყალებას და აიღებენ ხელში ქართულ ნაწერს, უმთავრესად ავტორის სახელს ეძებენ. თუ ავტორი მათი პატივის-მცემელია, გინდა მტკნარი სისულელე დაეწეროს, მაშინათვე მოჰყვებიან ქებასა და დიდებას დაახლოვებით ასე:

„ჩვენ წავიკითხეთ ისეთი წერილები, რომელნიც გვაგონებენ სწორედ ბერნესა და გეინეს კალამსა. მადლობა და ათჯერ მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენი მიყრუებული საზოგადოებაც გახდა ბედნიერი და ჰყავს საკუთარი ბერნე და გეინე, ერთსა და იმავე მწერლის ქერქში მოთავსებულნი. გერმანელები აქამდისაც-კი იწონებენ თავსა, რომ ერთხელ როდისღაცა ჰყვანდათ ცალკე ბერნე და ცალკე გეინე. რამდენად და რა დიდს ხნობამდის შეგვეძლება თავის მოწონება, რომ ჩვენ, ულირსოებმა, დავბადეთ ის ყმაწვილი, ვისაც მომეტებულის თავ-მდაბლობით ამოურჩევია ფსევდონიმად ზაქარია მხარგძელის სახელი და ვინც ერთსა და იმავე დროს ბერნეც არის და გეინეც და კიდევ ერთი რამაცა და ერთი ვინმეც. ოჰ, ბედნიერებავ, ოჰ, სიტკბოებავ, ოჰ, ნეტარებავ! დასტკბი გულო, გაიხარე საზოგადოებავ! ეხლა აღარა გვიშავს-რა. ამას იქით ჩვენც შეგვეძლება საქვეყნოდ ვთქვათ, რომ ცოცხალ ვართ და კიდევაც ვიცოცხლებთ დიდებით, წარმატებით, გულ-დიდად და ამაყად.

„დაუამტკიცებლად ახალგაზდა ზაქარია მხარგძელის დიდებისა მოვიყვანდით მთლად იმის წერილს, მაგრამ ადგილი ნებას არ გვაძლევს და სამწუხაროდ მკითხველს მხოლოდ თითო-ოროლა ნაგლეჯს ვაგებებთ, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ეს ადგილებიც საკმაოდ აჩვენებენ ავტორის ზეციურ ძალასა. ბ-ნი ზაქარია მხარგძელი ერთს ადგილას ამბობს, მაგალითად, შემდეგს: „მე რომ სასამართლოს მწერალს თვალი თვალში გავუყარე, იმას კანკალი დააწყებინა და ისეთმა ფერმა გადაჰკრა, თითქო ლიმონიაო, დიახ, სწორედ თითქო ლიმონიაო. ჩემის თვალების ძალა ვერ აიტანა, თავი ჩაღუნა და ისეთი სანახაობა მიიღო, თითქო კითხვითი ნიშანიაო, დიახ, თითქო კითხვითი ნიშანიაო. ამ დროს მოვიდა თვით „სტოროჟიც". ერთი იმასაც დავუბღვერიალე თვალები და საცოდავი ისე გაჰქრა, თითქო კურდღელიაო, დიახ, თითქო კურდღელიაო, და ზედ გამოეხატა „ინსტიტუტკის" გულ-წრფელობა, დიახ, ინსტიტუტკის გულ-წრფელობა. ამ დროს შემობძანდა ბ-ნი მოსამართლეც. დამინახა თუ არა, თავი დამიკრა და მითხრა—შენს ღმერთს შეჰხედე, ნუ დამიწიოკე მოსამსახურენიო. ეს, რასაკვირველია, იმის ნიშანი იყო, რომ მოსამართლე ჩემკენ იქნებოდა. მე მადლობა გადავუხადე. მწერალმა და „სტოროჟმა" პატა თავისუფლად ამოისუნთქეს და ისე იყურებოდნენ, თითქო აღდგომა დღე დაუდგათო, დიახ, თითქო აღდგომა დღე დაუდგათო".

„თავი ვერ დამინებებია კალმისათვის. მინდა, რომ სულ ამოვწერო და ამოვწერო. მაგრამ როდემდის! ერთი ადგილი მეორესა სჯობია. რა ნაირი მარტივი და ძლიერი შედარებანია—„თითქო ლიმონიაო", „თითქო კურდღელიაო", მერე ეს სიტყვები—„ინსტიტუტკის" გულ-წრფელობა ეტყობოდა „სტოროჟსაო"... მშვენიერებაა!.. ასეთი სიმარტივე მხოლოდ გენიოსთა ხვედრია. თანაც ყოველივე მისი სიტყვა ისეთს სინამდვილედ მოგაჩნიათ, რომ ეჭვსაც ვერ აიღებთ, ვითომც ავტორი ტყუოდეს, როცა გვეუბნება მწერალის კანკალსა და „სტოროჟის" ცახცახს. უეჭველია, იმათ კანკალი აიტანდათ, ამისთანა მწერლის ნიჭიერებას რომ დაინახავდნენ. თვით მოსამართლე თავს უკრავს ნიჭიერებას. მოდი და სხვამ რაღა უნდა ქნას!..

„გიხაროდეს, ჩვენო საზოგადოებავ! ჩვენს ცაზედაც ამობრწყინდა მნათობი, რომელიც თვით მზესაც კი შეეცილება!"

**

ასეთი ქება გესმით, როდესაც კრიტიკოსი რითიმე მომადლიერებულია მწერლისაგან. მაგრამ ვაი ამავე მწერლის ბრალი, თუ კრიტიკოსი, რაიმე შინაურის მიზეზით, ვერ არის იმასთან კარგად. იმოდენა ტალახს დაასხამენ კაცს თავზე, რომ დღენი აწყევლინონ. ნიმუშად მოგვყავს ერთი „კრიტიკული" წერილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში:

**„ერთის სურიელის „ქართული კალენდარი".**

„გამოვიდა კიდევ ქართული კალენდარი 1888 წლისა, შედგენილი ერთის სურიელისაგან, მრუდე, შეცდომებით სავსე, რომლითაც ატყუებს ხალხს, ართმევს ნამდვილ ფულს და ჰყიდის მათზე ცრუ ამბებით, ტყუილ ცნობებით სავსე კალენდარს, ესე იგი, გლეხ-კაცს ტანჯვა-წვალებით ნაშრომ ჭკლად ფულში აძლევს ყალბ, დამპალ და გამოუსადეგარ საქონელს.

თუ ერთი სურიელი საწყინოდ მიიღებს ამ ჭეშმარიტებას და ისურვებს ცხადად, ნამდვილად ნახოს ჭეშმარიტება ამ სიტყვებისა, შეუძლიან მიჰმართოს სასამართლოს (ღმერთი არ გაიწყრება, სწორედ ასეა დაწერილი), სადაც აცნობებენ, შეასმენენ და დაუმტკიცებენ მას ყოველს აქ ნათქვამს და აგრეთვე იმას, რომ როგორც თავის მამას უყვარდა სხვის ნაშრომ-ნაღვაწის ჯიბეებიდამ და სახლ-დუქნებიდამ თავის საკუთარს ჯიბეში გადატანა, რომლისათვისაც გაიგზავნა სიბირს კატორჟნი რაბოტაში, აგრეთვე თვითონ უყვარს სხვის ნაშრომ-ნაწერისა თავის კალენდარში გადატანა.

ამასთანავე საჭიროა ვსთქვათ, რომ ამ შვიდ-რვა წლის განმავლობაში თავისის გარყვნილი წიგნებას უხვად გამოცემით ძრიელ გარყვნა, ზნეობით წაახდინა საცოდავი გლეხი ხალხი, რომელთაც ეჭირვებოდათ ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლა-დარიგება, კეთილ აზრიანა წიგნები, საიდგანაც ხალხი სცნობდა თავის თავსა, მოვალეობას თავის მზგავს კაცისადმი, სიყვარულსა ძმისასა, დაცემულ-დავარდნილის შებრალებასა და შეწყალებასა, უფროსისა და კანონის მორჩილად მეოფობასა და აგრეთვე თავის გამჩენ ზეციერ მამას. ამის მაგიერ ერთმა სურიელმა აძლია ხალხს მოშხამულ-მოწამლული წიგნები და ძრიელ დასცა, ზნეობით წაახდინა ათასი პატიოსანი ყმაწვილი კაცი, იმედი მომავალის შთამომავლობისა.

კიდევ განვიმეორებთ, თუ ერთი სურიელი საწყინოდ მიიღებს ამ ჭეშმარიტებასა, შეუძლიან მიჰმართოს სასამართლოს, სადაც დაუმტკიცებენ ამას ყოველსა".

თვითონ მკითხველმა იცის, რომელმა გამოჩენილმა ევროპის მწერალმა იქონია გავლენა ამ ახირებულს კრიტიკოსზე, რომელიც ასეთის გულ-შემატკივრობითა ლაპარაკობს „საცოდავ ხალხზე" და თავ-გამოდებული ჰმალავს საბუთს თავის ლანძღვისას სასამართლომდე. მტკნარი სულელი უნდა იყოს ის ერთი სურიელი, რომ ამისთანა „კრიტიკაზე" სასამართლოსკენ გარბოდეს. ან რა საფიქრებელია სალიტერატურო კრიტიკის გადატანა სასამართლოში! მაგრამ რასა იქთ, ასეთია საფუძვლიანობა ჩვენის კრიტიკოსებისა. როგორი აზრიც, ანუ უკეთ ვსთქვათ, როგორი ფრაზაც მოადგებათ ენის წვერზე, ისეთს დასწერენ და იმას-კი აღარ დაგიდევენ, რამდენად შეეფერება ფრაზა გასარჩეველ წიგნსა, გინდა ეს წიგნი თვით კალენდარიც იყოს. შე კარგო ადამიანო, თუ არ მოგწონს, ხომ წუნსაც უნდა ჰხედავდე, და თუ ჰხედავ, რომელ შავის დღისათვის-ღა ჰმალავ, რატომ ჩვენც არ გვიჩვენებ ამ დასაწუნებელ ადგილებს. ჯერ გვაჩვენე საგანი და მერე გვითხარ, რითი არ ვარგა, ან რაშია მოსაწონებელი, იქნება ჩვენც დაგეთანხმოთ. თუ არა, ასეთის მჩხავანობით ვის რა ჰკუა უნდა ასწავლოთ და ან თვით იმ ერთს სურიელს როგორ უნდა შეუშალოთ ხელი წიგნების წერაში!..

თეოდოსიძე

## წერილი ქუთაისიდამ

ვინა თქვა, რომ ქუთაისი მოკლებულია ყოველ ნაირს გასართობსაო. ეს ერთი თვეა ნახევარია და, მგონი, ორი თვეც, თითქმის ყოველ დღე რამე წარმოდგენაა. ჯერ გვეწვია ტფილისიდგან ქართული დრამატიული დასი, მერე—ფოორკატი, შემდეგ სულ-მეორედ გვეწვია ტფილისიდგან იგივე ქართული დრამატიული დასი, რომელიც აქამომდე აქ იმყოფება. ამას მოჰყვა ბ-ნ გ. მესხის წარმოდგენათა სერია და მათ შორის გაკვეხა „ფოკუსნიკი" ეპშტეინი; ამას თუ კიდევ უბრალო ხალხისათვის გასართობი პანარამაც დაუმატოთ, რომელიც იქვე თეატრის პირდაპირ არის გამართული და რომელიც ბლომად იზიდავს მაყურებლებს, მაშინ თქვენც დამეთანხმებით, რომ ამ ნაირ პატარა ქალაქისათვის, როგორიც ქუთაისია, ეს სრულიად საკმაოა და, მგონი, მეტიც არის. მართლაც, წარმოიდგინეთ რომ ქუთაისის მცხოვრებთა უმეტესობას ვაჭრები და მოხელეები შეადგენენ. აქ არა ცხოვრობენ საზამთროდ მდიდარნი სოფლის მემამულენი. ჩვენი ვაჭრები-კი, მოგეხსენებათ, იგივე მეწვრილმანენი არიან, რომლებსაც გუნდა-ლახტაკით შეუძენიათ ცოტაოდენი ქონება და წინ აღარ წასულან არც გონებით და არც ზნეობით. ამათი გართობა ბაზრის მასხარობაა. დარჩა წარმოდგენებზე მოსიარულე „ჩინოვნიკობა". ქართველ „ჩინოვნიკობას" მაინც მეტი მოსდის. იგი ყოველ ნაირ წარმოდგენას უნდა დაესწროს, თუ ორი გროში უჩუჩა ჯიბეში,—ქართულსაც და რუსულსაც. ამისათვის ნუ დაგვემდურება ბ-ნი ვასილ აბაშიძე, თუ ამ მეორე მოსვლაზე რიგიანად ვერ დავხვდით, რადგანაც თვით აბაშიძეს მიუძღვის ამაში დიდი ბრალი.

ჩვენ, ქუთათურები, აბუჩად ასაგდები არა ვართ. გემოვნებაცა გვაქვს და მიმხვედრობაც. თუ ვინმემ მასხარად აგვიგდო, მერე, ბევრიც რომ ეცადოს, ვეღარ მოიგებს ჩვენს გულსა. აი, რისთვის ვამბობთ ამას: მოთამაშეებს არ ეტყობათ შრომა და წრთვა, მეორე ხარისხის როლების აღმსრულებლებს არც ერთხელ არა სცოდნიათ თავიანთი როლები და სხვებსაც ძალიან უფუჭებენ თამაშობას. სუფლიორის ლაპარაკი ჰფარავს მოთამაშეებისას. არც ტანისამოსი და სცენა ჰქონდათ ხოლმე ცოტაოდნად მაინც შესაბამი წარმოდგენისა. ამას გარდა ორჯელ ერთი და იგივე პიესის თამაში ქუთაისში შეუძლებელია მოკლე ხნის განმავლობაში. „დამნაშავის ოჯახი" ორჯელ წარმოადგინეს ერთის კვირის განმავლობაში და „თამარ-ცბიერიც" არ უნდა ეთამაშნათ ამ მეორედ მოსვლისას. საუკეთესო როლების აღმასრულებლებზე აი

რას ვიტყვი: თვით ბ-ნი აბაშიძე „სურიოზულ“ კომიკურ როლში, როგორც არის იეზუიტის დამნაშავის ოჯახში, სასაცილო უფრო იყო, ვინემ საზიზღარი; მაშინ-როდესაც იეზუიტის როლმა უნდა გაუღვიძოს ადამიანს შიში, სიძულილი და ზიზღის გრძნობა. ქ-ნი არდანისა, ახალი მოთამაშე, თამაშობდა უმანკო, გულ-უბრყვილის ქალიშვილის როლს დამნაშავის ოჯახში და ურიგო არ იყო, მხოლოდ ფეხ-შებორკილივით იდგა; „თამარ ცბიერში“-კი სრულიად არ ვარგოდა. ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი მე პარკედანდა ვნახე და იმისმა თამაშმა გამაკვირვა. აი, სწორედ რომ ღვთის ნაპერწკალი იმას ჰქონია. მეორეჯერადაც ვნახე მესხიევი ერთსა და იმავე „დამნაშავის ოჯახში“. ორივეჯერ აატირა მთელი საზოგადოება. მეოთხე მოქმედებაში, როცა გულ-მესაზარის ხმით შესძახა თავის ცოლს: „შვილი მომეცი, ჩემი შვილი“, ყველას ყრუანტელმა დაურბინა ტანში; თხუთმეტი წელიწადი საპყრობილეში გამხმარი და გამხეცებული კაცი რომ ქვითინს მოჰყვა, თვითოეული წვეთი იმის ცრემლისა გარდადუღებულ ტყვიასავით გულზე ეწვეთებოდა საზოგადოებას. ბ-ნმა მესხიევმა ითამაშა აგრეთვე მგოსნის როლი „თამარ-ცბიერში.

რადგანაც ერთობ გასართობზე ვლაპარაკობ, ამიტომაც მგონი მეტი არ იქნება მოგახსენოთ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი. ბ-ნი ქორიძე ამზადებს დიდი ხნის ჩვენებურ უმაწვილებს, ქალებს და ვაჟებს, საკონცერტოდ. ამ მოკლე ხანში კიდევაც აპირებს კონცერტის გამართვას. კონცერტი შესდგება სხვა-და-სხვა ოპერების ნაწყვეტებისაგან. ერთი-ორი ხმა, როგორც მაგალითებრ ბ-ნ ზ. ნაკაშიძისა და ქ. მნელაძისა, ისეთი შესანიშნავია, რომ იმედია ქუთათურს სცენას არ დასჯერდებიან. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ქორიძე, რომ ასე უსასყიდლოდ ასწავლის ჩვენს უმაწვილებს სიმღერასა და წრთვნის. შეიძლება ისეთი ხმა გამოსჩხრიკოს, რომ სასახელო გამოდგეს ჩვენთვის. ბ-ნის კ. მესხის წარმოდგენებზე შემდგომისათვის გადავდებ საუბარს.

ბერიკი

## კახეთის ამბები

თელავის და მთელის კახეთის „დამზოგველ ამხანაგობაზე“, „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე“ და „საზოგადო წიგნთ-საკითხავზე“ მრავალჯერ ყოფილა „ივერიაში“ ლაპარაკი და ამ ამბების გადმოშლა და მათზე დაწვრილებული ბაასი მკითხველთანა წყლის ნაყვა იქნება. აღნიშნულ დაწესებულებას ისეთი მკვიდრი ერთობილი კავშირი აქვს კახეთის ცხოვრებასთან, რომ მხოლოდ მსურს ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, რაც დღეს ასე აუცილებლად საჭიროა. სამივე საზოგადო დაწესებულება კახეთისა ისეთს დონეზე დგას, რომ თუ სინიდის ქვეშ იტყვის ადამიანი, უფრო წარმატებას უნდა მოველოდებოდეთ, მინამ უკუ ქცევას, მაგრამ ერთის პირობით-კი, რომ მათმა გამგე-მმართველებმა აიხადონ პირ-ბადე. პირბადეს ახდა მეტად საჭიროა, რადგან საზოგადოება სამართლიანად ეჭვის თვალით უყურებს მათს მოქმედებას. ან როგორ შეუძლიან საზოგადოებამ გულ-გრილად უცქიროს ჩუმ-ძრომიაობას? ავიღოთ, მაგალითად, „დეპო“. აგერ ორი წელია, რაც „დეპოს“ ანგარიში არავინ იცის. ანგარიში არამც თუ საქვეყნოდ არ გამოაშკარავებულა, არამედ თვით მის „წევრებმაც“-კი არ იციან! რა ვთქვა? წევრებმა-კი არა, მგონი თვით გამგეობის შემადგენელთაც არა იციან-რა. რატომ?— რა მოგახსენოთ. ესეც და ყოველივე ზემოხსენებულიც წყვდიადს შინა უფსკრულისასა გახლავთ დაფარული. „დეპოს“ წესდების ძალით, ყოველ წლივ გამგეობამ უნდა საჯაროდ გაზეთის შემწეობით გამოაცხადოს თავისი ანგარიში, მაგრამ ამსრულებელი-კი ამ კონივრულის მუხლისა არავინ გახლავთ. საჭიროა უსათუოთ ამ წლის დამლევს მაინც არის შეიტყოს საზოგადოებამ „დეპოს“ ანგარიში გაზეთის შემწეობით, თორემ სახელს—„მეწვრილმანის დუქანი“ ვერა მოსწმენდავს-რა.

ამავე გამოურკვეველ მდგომარეობაშია „გამსესხებელ-შემნახველი“ ამხანაგობაც. წევრთა და გამგეთ რომ ჰკითხო იმისი საქმე, გეგონება ჯეროვნად მოქმედებსო, მაგრამ ლიტონის სიტყვით მნელია საზოგადოებაში შემდგარის აზრის აღმოფხვრა. საჭიროა უსათუოდ ნამდვილი, თვალ-საჩინო საბუთი, რომ საზოგადოებამ შეიცვალოს მასზედ შეხედულობა და მის წარმატებაზე იზრუნოს. ეს საბუთი იგივე წლიური ანგარიშია (დაწვრილებით, რასაკვირველია), საჯაროდ გამოცხადებული. ვურჩევ „ამხანაგობის“ გამგეობას, ამ წლის დამლევს უსათუოდ დაჰბეჭდოს გაზეთში თავისი ანგარიში და მით დღემდის პირ-ბადით დაფარული თავისი ავ-კარგიანობა მთელს ქვეყანას აუწყოს.

მესამე დაწესებულება, წიგნთ საკითხავი-კი, სწორედ გითხრათ გამოურკვევ უკვე ძალიანამ. დღემდის იგიც მავ პირ-ბადეში იყო შეხვეული, მაგრამ დღეს მოიხსნა იგი და საქვეყნოდ შეუძლიან თავისი ავ-კარგიანობა გამოააშკარაოს. წარსულ თვეის ოც-და-ორვას „წიგნთ-საკითხავის“ წევრთ ჰქონდათ კრება. კრებაზე წევრთ გარეითად ახალი წევრობის მსურველნიც დაესწრნენ. კრებამ განიხილა წლიური ანგარიში, შეადგინა სათადარიგო თანხა მომავალის წლისათვის, ამოირჩია ახალი გამგეობა და ზედამხედავი რჩევა; მიიღო აგრეთვე ახალი წევრებიც. როგორც ანგარიშიდამ აღმოჩნდა, ამ 1887 წელს წიგნთ-საკითხავს ჰქონია თვრამეტ თუმნამდე შემოსავალი; აქედამ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოწერაზე დახარჯულა თითქმის თუმნამდე, ასე რომ დღეს წიგნთ-საკითხავს 40 მანათი აქვს ნაღდი ფული. მომავალის წლის საწევრო შემოსავალი კრებამ დაადგინა, რომ უსათუოდ ამ თვის თხუთმეტამდე იყოს შემოტანილი, რათა ჟურნალ-გაზეთები დავიბაროთ მომავალ 1888 წლისათვისაო.

ასე და ამ რიგად ჯერ-ჯერობით ვედარსხენით, რომ ერთმა თელავის საზოგადო დაწესებულებამ მაინც მადლობის ფარდა აიხსნა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა დაწესებულებანიც მიჰბაძავენ წიგნთ-საკითხავს, თორემ ამდენმა მალულობამ მხოლოდ აზარალა საქმე. თელავლებნი დარწმუნებულნი ვართ, წიგნთ-საკითხავის ახალნი მმართველნი რიგიანად წაიყვანენ საქმეს. თუ რა ჟურნალ-გაზეთი და წიგნები იქნება გამოწერილი 1888 წ., ამის გამორკვევა წევრებმა შემდეგის კრებისათვის გადასდეს. ეს იმიტომ მოახდინეს, რომ ჯერ ფული შევაგროვოთ და იმის მიხედვით შევიძლიან ვიმოქმედოთო. კრებამ აქვე გადასწყვიტა წარმოდგენის გამართვა ამ თვის 15-მდე, რომლის თადარიგსაც უკვე შეუდგნენ.

ი. კახელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მართალი ღმერთმა უწყის და რუსეთის გაზეთები-კი თითქმის ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ შუა ევროპაში დიდთა სახელმწიფოთა კავშირს აზრადაც არ მოზდის დაცვა მშვიდობიანობისა, თუმცა ქვეყანას-კი არწმუნებდნენ ეს სახელმწიფონი, რომ ჩვენ თუ ერთმანერთს ხელს ვაძლევთ, მომხრეობას ვპირდებით, მხოლოდ იმიტომ რომ მშვიდობიანობა გვინდა, ომი გვძაგს, ევროპისათვის სიკეთე გვწადიანო.

გაზეთი „Новости“ ამბობს:

თუ მართლა მშვიდობიანობა სწადიანთ, ეს საშინელი მზადება რაღა არის? რაღა უნდოდათ სეპტენატის დაწესება, რა არის ლანდვერისა და ლანდშტურმის კანონ-პროექტებიო. რა არის, რომ დღე მუდამ იმის ზრუნვაში არიან, რათა ყოველს წუთს მზად იყვნენ და ჯარი თოფ-ქვეშ დააყენონ. ეხლა ისეა გამწვავებული ზოგიერთ სახელმწიფოთა ურთი-ერთობა, რომ ლამის იქამდის მივიდეს საქმე, როცა „თოფები თავის თავად ჰქუხან და იცლებიანო“.

„Новое Время“ ამბობს:

საკვირველი ის არის, რომ მას აქედ, რაც შუა ევროპაში ვითომ-და მშვიდობიანობის დასაცველად შესდგა კავშირი გერმანია-ავსტრია-იტალიისა, გაზეთები მხოლოდ მომავალს ომზედ-ღა ლაპარაკობენ. რა მოგვიტანა მერე ამ კავშირმა? ის მოგვიტანა, რომ ვენაში სამხედრო თათბირი და ბჭობაა, ბერლინში იქაური ოფიციოზები ვინ იცის, რას არ წინასწარმეტყველობენ, ჯარები საზღვრებისაკენ გადაჰყ-გადმოჰყავთ, ბირჟები ფრთხიან და ტოკავენ. აი ეს მოგვიტანა იმ საპოლიტიკო ქსელმა, რომელიც გააბეს ბერლინისა, ვენისა და რომის მთავრობის ორატორებმა და ქვეყანას-კი არწმუნებდნენ, რომ სწორედ ეს ქსელი დაიხსნის ევროპას შფოთისა და ღელვისაგან და მიანიჭებს ქვეყანას მშვიდობიანობასაო.

„Моск. Вѣд.“-ი ამბობს:

კანონ-პროექტი გერმანიის სამხედრო სამინისტროსი ლანდვერისა და ლანდშტურმის თაობაზე ისეთი ღონის-ძიებაა მხედრობის გაძლიერებისათვის, რომელიც ბევრად აჭარბებს ამ მხრივ სეპტენატსაცა და ყოველ გვარ სხვა სამხედრო ღონისძიებასაცა. გერმანიას, როგორც ეტყობა, განუზრახავს თოფ-ქვეშ დააყენოს, თუ ვინიცობაა ომი მოუხდა, თითხმეტში ერთი კაცი მაინცაო.

გაზეთების ყველა ამ ნალაპარაკევს ჩვენის მხრით არავითარი განმარტება აღარ ეჭირება.

**

უნდა უხაროდეს „Гражданинъ“-ის რედაქტორს. „Гражданинъ“-ს ისეთმა დარბაისელმა გაზეთმა, როგორიც არის „Моск. Вѣд.“-ი, თავისი ყურადღება მიაქცია და, თუმცა მასხარად აიგდო და პამპულად დასახა, მაგრამ მაინც ბ-ნ მეშჩერსკის სასიხარულოდ უნდა მიაჩნდეს, რადგან იმისი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ყველამ იმაზედ ილაპარაკოს. ოღონდ-კი ილაპარაკონ და ავად ილაპარაკებენ თუ კარგად, ის ახირებული გაზეთი და უფრო ახირებული იმისი რედაქტორი ამას აღარ დაეძებენ.

ახალი გაზეთი მეშჩერსკისა, ამბობს „Моск. Вѣдом.“-ი, —დიდის ამბით გამოვიდა. ეტყობოდა, რომ რედაქტორს ნდომებია მხოლოდ თვალში გასჩხეროდა ყველას: დამინახონ-კია და სხვა არა მინდა-რაო.

აი რა უთქვამს ახალის გაზეთს პირველსავე ნომერში:

მე ვიქნები წარმომადგენელი რეაქციისა, უკან დახევისაო. ევროპის აზრებსა და იდეებს ყურადღებას არ მივაქცევ და ვილაპარაკებ ხმა-მაღლა, გარკვევით და უშიშრადაო.

შემდეგ გაზეთი სეტყვასავით ისვრის ასეთს სიტყვებსაო, ამბობს მოსკოვის გაზეთი:

რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების საფუძველნიო, ღვთაებრივი დაწესებულებანიო, ეკკლესია, ღმერთი, სკოლა, ოჯახი, მოვალეობა, სახელი და ღირსება, სული ადამიანისა ყოველ გვარის სიდიდისა და სახისა, ზნეობა მთელის გაზეთის ფურცლის სიდიდეო.

ერთის სიტყვით, გაზეთს სამასხარო ტანისამოსი უკუღმა ჩაუცვამს და ისე გამოსულა ხალხში საბერიკაოდ და არა სალიტერატურო მოღვაწეობისათვის; ჯიბის გასატენად და არა ნამდვილის მამულიშვილის მოვალეობის შესასრულებლად.

წავიდეს ახლა ამის შემდეგ „Гражданинъ“-ი და საცა თავისი თქვას, იქ „Московскія Вѣдомости“-ისაც დაიკვეხოს.

## წვრილი ამბები

— ბერლინსა და ლეიპციგს შუა ტელეფონი გაუმართავთ.

— ამ დღეებში სტოკჰოლმში დაიბეჭდება თურმე და გასაყიდად დარიგდება შვეციის მეფის ოსკარ მე-II ლექსთა კრება.

— „Petit Journal“-ი ამბობს, რომ ვილსონის საქმე ასე ადვილად არ გათავდებაო. კიდევ ბევრი წერილებია მიმოფანტული ისეთი, რომლითაც ვილსონის მიერ საკიცხავი ჩადენილი საქციელი მტკიცდებაო.

— კოკლენ-უფროსი ეხლა ბუხარესტშია თურმე და ხალხი აღტაცებაში მოჰყავს თავისის თამაშობით. რუმინიიდგან ეს სახელ-განთქმული არტისტი აპირებს წასვლას სტამბოლში, ათინაში, ქაირში, სადაც ათს დღეს დარჩება, და შემდეგ ვენაში დაბრუნდება.

— როგორც ამბობენ, ალექსანდრე დიუმა-შვილის პიესის „La Dame aux Camélias“ გმირი-ქალი ცოცხალი არსება ყოფილა და არა მწერლის ფანტაზიის მიერ შექმნილი. ამ ქალს ნამდვილი სახელი მარია დიუპლესსი რქმევია. ეხლა ამ ქალის ერთს ახლო მეგობარს, რომაინ გიენს, გამოუცია დაწვრილებული ბიოგრაფია დიუპლესსისა. ამ წიგნში ბევრს საყურადღებო რასმე ამოიკითხავს თურმე მკითხველი.

— მასსოვიდგან ამბავი მოსულა, რომ ნეგუსსა და რას-ალულას უსიამოვნება მოსვლიათ ერთმანერთში იმის გამო, რომ ნეგუსს იტალიასთან მორიგება უნდოდაო.

— სარდუ აგრეთვე იმასაც ედავება თურმე „Gil Blas“-ის რედაქციას, რომ ამ რედაქციამ ჩემის დრამა „La Toçca“-დგან ამოღებული ადგილები და ერთი ნაწილი დიალოგისა იმ დღეს დაბეჭდა, რა დღესაც ეს პიესა უნდა წარმოედგინათო. სარდუ იმ აზრისაა, რომ ამ გვარმა უთავაზიანობამ და სხვის საკუთრების დაბეჭდვამ პატრონის დაუკითხველად პიესას დიდი ზარალი მისცა, ხალხს ინტერესი დაუკარგა თეატრში წასვლისა და ამ პიესის ნახვისაო. ხოლო ეს სარდუს მიერ გამოთქმული აზრი აქამდე არ გამართლებულა, რადგან „La Toçca“-ს წარმოდგენებზედ დიდ-ძალი ხალხი დაიარება თურმე.

— თუმცა აღკრძალეს ემილ ზოლას რომანი „La Terre“ არამც თუ საფრანგეთის საზღვარს გარედ, არამედ რესპუბლიკის რკინის გზის სადგურებზედაც-კი, ეს რომანი ზოლას რომანებს „Les Raugon Maguarts“-ზე მეტად ვრცელდება თურმე. აგერ ჯერ ერთი თვეც არ არის რაც ეს ზოლას ახალი რომანი დაიბეჭდა და უკვე 80,000 ეგზემპლიარი გაყიდულა.

— ნიუ-იორკის სასამართლოს ანარხისტ მოსტისათვის ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია.

## დეპეშა

10 დეკემბერი

ბერლინი. დღეს ბირჟაზე ხმა გავრცელდა, ვითომც კობურგის პრინცმა უარ-ჰყო სამეფო ტახტიო, მაგრამ ეს ხმა უსაფუძვლოა, თუმცა ვენაში ჰფიქრობენ, რომ პრინცს კობურგის მდგომარეობა შერყეულიაო. ვენის ბირჟაზედაც დადის ხმა, ვითომც კობურგის პრინცმა უარ-ჰყო თავისი ტახტიო.

10 დეკემბერი

პეტერბურგი. დამტკიცებული შტატები აშ-დარიის გემ-ხომალდებისა ერთის წლით იქნება შემოღებული, როცა სახელმწიფო საბჭო ნება-რთვას გასცემს საჭირო ფულის გატანისას.

როგორც ისმის, სახელმწიფო საბჭომ მოიწონა აქციზი კერასინისა, და არა ნავთისა.

ბელგრადი. სკუპშჩინამ მოიწონა რკინის-გზის ხელ-შეკრულობა ბოლგარიასთან. ამასთან რისტიჩმა გამოაცხადა, რომ ხელ-შეკრულობა ბოლგარიის ფაქტიკურ მმართებლობასთანა გვაქვსო და რომ სერბია აქ მისდევს იმ გზას, რომელიც ეთანხმება ყოველ სახელმწიფოთადმი მეგობრულს განწყობილობასაო.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ს დეკემბერს.

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 20 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 183 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 273½ |
| — მეორისა | — » | — » | 244½ |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — » | — » | 100 87 |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | 98 |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | 93¾ | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

11 დღე პარასკევი. ღირს. დანიელისა. კათოლ. წმ. ეპისკ. პაპ. დამაზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-9 რიცხვი

თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34. მთვარე 10 დღისაა.

**13 დღე შაბათი.** ღირსის სპირიდონ ეპისკ. სომეხ. წმ. იაკობ მამათ-მთავრისა და სხ. მუსულ. მე-10 რიცხვი თვისა რებიულ-ახირისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—35. მთვარე 11 დღისაა.

**12 დღე კვირა.** წმ. მოწ. ევსტატისა, ავქსენტისა, ევგენისა და სხვ. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ლუციასი. სომეხ. ჰისნაკაცი (ქორწინების ნება ეძლევათ). მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36. მთვარე 12 დღისაა.

**14 დღე ორშაბათი.** წმ. თვირსოსი. სომეხ. წმ. ეგნატე მამათ-მთავრისა და სხ. მუსულ. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36. მთვარე 13 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | . . 3 | » |
| » 2 » | | $2\frac{1}{2}$ » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | | $3\frac{1}{2}$ » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . . 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | . . 4 | » |
| მე-3 — | . . . » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | . . . . 13 | » |
| ძროხის ხორცი | . . . 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 5 | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვაო გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემა მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | წამი. | გადის საათ. | წამი. | სტანციები | მოდის საათ. | წამი. | გადის საათ. | წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . | 9 | 55 | 1) | 2 |
| კასპი. . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი.** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი.** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა.** . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი.** . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | წამი. | გადის საათ. | წამი. | სტანციები | მოდის საათ. | წამი. | გადის საათ. | წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი

**ხომეხთა ხასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველოს რჩევაში** ამა დეკემბრის 23 რიცხვსა, საღამოს 8 საათზედ, გამართული იქმნება ხელახლად ვაჭრობა სემინარიის ძველის შენობის ქვედა სართულის მაღაზიების იჯარით გაცემაზედ. ვაჭრობის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეების გარდა, დღის 10—12 საათამდე. (3—3)

დაიბეჭდა ქართული საეკლესიო

# ტიბიკონი

შედგენილი მთ.-დ. რაჟდენ ხუნდაძისაგან. ისყიდება ქ. ქუთაისში: საეპარხიო კანცელარიაში, ლამბაშიძის სტამბაში და თვით გამომცემელთან. ფასი 1 მანეთი. (3—2)

1887 წ. 10 დეკემბრიდამ ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზედ, კიჭირიების სახლებში, იხსნება მებელებით მოწყობილი სასტუმრო ოთახები, სახელდობრ „ლონდონი“. ყველა ოთახები იქნება ლამაზად და შნოიანად მოწყობილი. ქირაც შედარებით ზომიერია—60 კაპეიკიდამ ვიდრე მანეთ ნახევრამდე. თვეობით მოქირავეებს ფასი დაეთმობა. (3—3)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

# თამარიანი

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ფასი 60 კაპ. (10—8)

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უმიშარის

შვედურის საჩხებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნაღდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქ ა რ ხ ა ნ ა

გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კ$^o$.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—8)

კავკასიის პირველი ფაბრიკა სეჩე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბ.ბ-ნს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამოჰრჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ეგზავნება საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებითი ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ეგზავნება მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებელის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

*Елизаветинская ул., домъ Чичахова, № 25.* (20—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

**ნინა გრიგოლის ასული კოტეტოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს გარდაცვალებასა ქმრისა თვისისა გრიგოლ კოტეტოვისა და სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ შაბათს, 12 დეკემბერს 9 საათზე მიცვალებულის გამოსვენებაზე ახალ არსენალის ქუჩიდამ ქაშუეთის ეკკლესიაში. (1—1)

# МАГАЗИНЪ
## ТОРГОВАГО ДОМА
## НИКОЛАЯ РОЖНОВА СЫНОВЬЯ

ВЪ МОСКВѢ

Никольская, Богоявленскій переулокъ.

**ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1820 ГОДА.**

Имѣетъ въ большомъ выборѣ и лучшаго достоинства: Ленты, кружева, шелкъ, перчатки, мужскія сорочки, разную шерсть, льняную нитку, бумагу чулочную, швейную и на катушкахъ и разные игольные, галантерейные и крестьянскіе товары.

Каталоги магазина высылаются по требованію безплатно.

(10—7)

Дов. цен. Тиф. 10 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.